<table>
<tr><th colspan="3">ტენდერის განაცხადი</th></tr>
<tr><td>1</td><td>ტენდერის აღწერილობა</td><td>შპს ,,სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ აცხადებს ტენდერს ავტოსამრეცხაო ბოქსების გაქირავებასთან და რეცხვის ტალონებით მომსახურებასთან დაკავშირებით.</td></tr>
<tr><td>2</td><td>კონკრეტული დავალება</td><td>1.შპს ,,სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ (დამკვეთი) აცხადებს ტენდერს<br>25 ავტოსამრეცხაო ბოქსის გაქირავებასთან და რეცხვის ტალონებით მომსახურებასთან დაკავშირებით:<br>16 ბოქსი თბილისის მასშტაბით და 9 ბოქსი რეგიონებში. გთხოვთ, იხილოთ თანდართული ლოკაციების დოკუმენტი.<br><br>2. ბოქსებში პრეტენდენტს დახვდება დამკვეთის კუთნილი ტექნიკა, რომლის ყიდვაზე ან ქირაობაზე მოლაპარაკებები შესაძლებელი იქნება პრეტენდენტი კომპანიის ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში:<br><br>
<table>
<tr><th>დასახელება</th><th>ერთეული</th></tr>
<tr><td>კერხერი</td><td>10</td></tr>
<tr><td>მტვერსასრუტი</td><td>8</td></tr>
<tr><td>კომპრესორი</td><td>5</td></tr>
<tr><td>ქაფის ბალონი</td><td>7</td></tr>
<tr><td>ქიმწმენდის აპარატი</td><td>2</td></tr>
<tr><td>ქაფის ფიქსატორი</td><td>2</td></tr>
</table>
<br>3. პრეტენდენტს ბოქსებში ასევე დახვდება რეცხვისთვის განკუთვნილი სახარჯი მასალა, რომლის გადაცემასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები შესაძლებელი იქნება პრეტენდენტი კომპანიის ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში.</td></tr>
<tr><td>3</td><td>მოთხოვნები პრეტენდენტების მიმართ</td><td>• პრეტენდენტმა თითოეულ ობიექტზე უნდა მოაწყოს თავისი ინდივიდუალური მრიცხველები, რომლის მიხედვითაც აღრიცხავს კომუნალურ დანახარჯებს.<br><br>• პრეტენდენტი უნდა მოემსახუროს „სოკარის“ კომპანიების კუთვნილ ავტომობილებს და მის კორპორატიულ კლიენტებს, დაახლოებით 933 ერთეულს თვიურად. პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს კონკურენტული სატენდერო წინადადების მოწოდება აღნიშნული რაოდენობების გათვალისწინებით:<br>- სედანი 446<br>- ჯიპი 436<br>- მიკრო - 51</td></tr>
</table>

პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს კომერციული წინადადება ტალონებით რეცხვის მომსახურებასთან დაკავშირებით ავტომანქანის ცალკეული კატეგორიების მიხედვით, ერთეულის საბაზრო ღირებულება და შესაბამისი ფასდაკლების საპროცენტო განაკვეთი, რომლითაც ისარგებლებს დამკვეთი.

***შენიშვნა:***

1.ზემოთ მოცემული რაოდენობები განსაზღვრულია ყოველთვიურად. აღნიშნული რაოდენობები კატეგორიების მიხედვით შეიძლება შეიცვალოს და დაკორექტირდეს +-20%-ით.

- რეცხვის ტალონებს გაცემის დღიდან უნდა ჰქონდეს არანაკლებ ერთწლიანი მოქმედების ვადა.

- ბოქსებს და უძრავ ქონებას უნდა შეუნარჩუნდეს პირვანდელი სახე და იმყოფებოდეს მუშა მდგომარეობაში.

- პრეტენდენტ კომპანიას უნდა გააჩნდეს მინიმუმ 10 ბოქსის მართვის გამოცდილება, რაზეც სატენდერო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტები.

- პრეტენდენტ კომპანიას უნდა გააჩნდეს სამრეცხაო სფეროში ოპერირების არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება და დამკვეთთან შეთანხმებით წარმოადგინოს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტები. ასევე სასურველია პრეტენდენტს ჰქონდეს კორპორატიულ კლიენტებთან რეცხვის მომსახურების გამოცდილება და წარმოადგინოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია სატენდერო წინადადებასთან ერთად.

- პრეტენდენტ კომპანიას უნდა ჰქონდეს დანერგილი სატალონე სისტემა.

- პრეტენდენტის პერსონალი ეკიპირებული უნდა იყოს, სპეც ფორმებით, რომლიც შესაბამისობაში იქნება გარემოს დაცვითი და ტექნიკური, შრომითი უსაფრთხოების ნორმებთან.

- პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად ცალკე უნდა წარმოადგინოს კომერციული წინადადება იჯარის ღირებულების თაობაზე.

| | | |
|---|---|---|
| | | • პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებით უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია ტალონების მოქმედების ვადის შესახებ. |
| 4 | გადახდის პირობები | პრეტენდენტმა კომპანიამ ყოველი თვის დასაწყისში წინასწარ ავანსის სახით უნდა უზრუნველყოს იჯარის საფასურის 100%-ის გადახდა დამკვეთისთვის. |
| 5 | ტენდერის ვადები | 10 კალენდარული დღე |
| 6 | ხელშკერულების ვადები | გაფორმდება 1 წლიანი ხელშეკრულება ცალკე ტალონებით რეცხვით მომსახურებასთან და ცალკე იჯარასთან დაკავშირებით. |
| 8 | საკონტაქტო პირი | 577222484 რევაზ მუხიგულაშვილი |